განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი
22-24 ივლისი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
05.08.2020



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო იურიდიული პირი |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 237113084 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ➢ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ➢ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ➢ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. ოზურგეთი |
| იურიდიული მისამართი | გურამიშვილის ქ N 4 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| ფაქტობრივი მისამართი | გურამიშვილის ქ N 4 |
| საფოსტო ინდექსი | 3500 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | cmidaninoskola.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | wmida.nino@gmail.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 0496 27 38 15 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | გივი კიკვაძე |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 591 001 759 - 599 15 77 67 |
| ელ-ფოსტა | wmida.nino@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანება N 371582 (12.05.2020) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლაში ვიზიტის შესახებ |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 22-24 ივლისი, 2020 |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ქეთევან ბოტკოველი |
| წევრი (სახელი, გვარი) | ნინო მჭედლიშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | ხარვეზი |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.1. | .............. |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 2.2. | ............... |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 3.1. | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | რეკომენდაცია |
|---|---|---|
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 2.1. | ............... |
| | 2.2. | ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რეკომენდაცია სველი წერტილების შენობაში შეტანასთან დაკავშირებით და მათთან ერთად მსჯელობის საფუძველზე გამოიყო შესაბამისი სივრცეები. სკოლის დირექტორმა განაცხადა რომ ეს საკითხი გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმით, თუმცა აუცილებლად გაითვალისწინებენ ამ რეკომენდაციას და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | შეიტანენ პრიორიტეტულ საკითხად სკოლის ახალ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

| | |
|---|---|
| **საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი** | |

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | ზნეობრივად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა მართლმადიდებლური და ეროვნული ღირებულებების შესაბამისად.<br>განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის, შრომის სიყვარულისა და პასუხისმგებლობის გრძნობით მოსწავლეთა აღზრდა.<br>მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების, ადამიანთა უფლებების, თავისუფლების და ტრადიციების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება.<br>მომავალი თაობების აღზრდა, რომელიც მართლმადიდებლობის გათვალისწინებით ინტეგრირებული იქნება საერთაშორისო სივრცესთან. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 320 | ექსპერტი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის მისიის მიხედვით, სკოლისათვის პრიორიტეტულია ზნეობრივად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა მართლმადიდებლური და ეროვნული ღირებულებების შესაბამისად, ინდივიდუალური შესაძლებლობისა და საჭიროების გათვალისწინებით. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მასში გაწერილია სკოლის თითოეული საფეხურის მიზნები და ამოცანები. სასწავლო შინაარსი კი ასახულია მასწავლებლების საგნობრივ და სააღმზრდელო პროგრამებში. მასწავლებლების საქაღალდეებში ინახება თითოეული საგნის ესგ-ის შესაბამისი თემატური გეგმა.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შემუშავებულია გასული სასწავლო წლის SWOT ანალიზის საფუძველზე და განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე 2020 წლის 19 ივნისს, ოქმი N9.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლა ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების (სახელმწიფო სტანდარტს) და სტანდარტზევით საგნების ბლოკის სწავლებას.<br>სასკოლო გეგმის ნაწილებია:<br>• სკოლის მისია;<br>• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით;<br>• სასწავლო წლის კალენდარი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • დღის რეჟიმი;<br>• საგნობრივი კათედრები;<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);<br>• სასკოლო საათობრივი ბადე საფეხურებისა და კლასების მიხედვით<br>• დაზუსტებული საგაკვეთილო ცხრილი<br>• გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;<br>• სადამრიგებლო პროგრამა;<br>• ინკლუზიური განათლება.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად 2020-2021 სასწავლო წელი დაიწყება 14 სექტემბერს და დასრულდება 9 ივნისს. აკადემიური მოსწრების შუალედური შეფასებისთვის სასწავლო წელს სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები, რომლიც იწყება 30 დეკემბერს და მთავრდება 10 იანვარს. სააღდგომო არდადაგები იწყება 29 აპრილს და მთავრდება 9 მაისს.<br>სადღესასწაულო დასვენების დღეებია: 14 ოქტომბერი - სვეტიცხოვლობა; 4 დეკემბერი - ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება; 17 დეკემბერი - ბარბარობა; 19 იანვარი -ნათლისღება; 27 იანვარი - წმიდა ნინოს ხსენების დღე; 15 თებერვალი - მირქმისა ჩვენისა უფლისა იესო ქრისტესი; 3 მარტი - დედის დღე; 9 აპრილი - ხსოვნის დღე; 26 მაისი - დამოუკიდებლობის დღე; 1 ივნისი - ხსენება მოციქულთა სწორისა წმიდისა ნინოსი.<br>საერთო ჯამში პირველკლასელები სწავლას ამთავრებენ 25 მაისს, მეთორმეტეკლასელები 20 მაისს, ხოლო დანაჩენი კლასები 9 ივნისს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო პროცესი იწყება 09:30-ზე. გაკვეთილები განისაზღვრება 45 წუთით, ხოლო თითოეული დასვენება განისაზღვრება - 10 წუთით.<br><br>სკოლა გეგმავს სასკოლო სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას პანდემიის საჭიროებიდან გამომდინარე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის 2020 წლის 19 ივნისს ოქმი N9;<br>• სკოლის საათობრივი ბადე,<br>• გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.<br>2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით სკოლაში, სამივე საფეხურზე, ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო საგანი და დაგეგმილია მოსწავლეებისთვის საშუალო საფეხურზე ასარჩევი საგნების, მსოფლიო კულტურა (X კლ) და IX-XX საუკუნეების დასავლური ლიტერატურა (XI-XII კლ), შეთავაზება. მეორე უცხოურ ენად სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზა V კლასიდან რუსული და გერმანული ენები, თუმცა სკოლის დირექციის განმარტებითა და წარმოდგენილი მეორე უცხოური ენების არჩევის ოქმის მიხედვით მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა V კლასიდან აირჩიეს რუსული ენა.<br>წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლაში ისწავლება ეროვნული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურების სახით საგანი საღვთო სჯული, შესაბამისი პროგრამით. I-VI კლასი საღვთო სჯული; VII-VIII კლასი ძველი აღთქმა; IX კლასი ქრისტიანული ეკლესიის ისტორია; X კლასი სახარების განმარტება; XI კლასი კატეხიზმო. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ამ საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები. კერძოდ, საგნის სწავლების მიზანია: ახალგაზრდებმა გააცნობიერონ ზოგადად რელიგიებისა და კერძოდ, ქრისტიანობის წარმოშობისა და განითარების მნიშვნელოვანი ასპექტები; გაიაზრონ მსოფლიო და ქართული კულტურის განვითარებაში მისი როლი და მნიშვნელობა; დაეხმაროს მოსწავლეს ჰუმანური მსოფმხედველობის ჩამოყალიბებასა და მოყვასთან ღვთიური სიყვარულით ურთიერთობაში. ამ საგანში განმსაზღვრელი შეფასება არ იწერება.<br>სკოლაში 2020 -2021 სასწავლო წელს სასწავლო პროცესების დაგეგმვის და კორდინაციის მიზნით შექმნილია 7 საგნობრივი კათედრა:<br><br>• ქართული ენა და ლიტერატურა<br>• უცხოური ენები<br>• საზოგადოებრივი მეცნიერებები<br>• დაწყებითი კლასები<br>• საბუნებისმეტყველო მეცნიერებები<br>• მათემატიკა და ისტ-ი<br>• ესთეტიკური აღზრდა და სპორტი<br>კათედრებისა და მასწავლებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილია დოკუმენტები - შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და მათი ანალიზები, გაკვეთილის გეგმები, სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალები, აღნიშნული დოკუმენტების მიზნებში მითითებულია თუ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რა ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიღწევას ემსახურებოდა ეს თუ ის აქტივობა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს პასუხობს კლასების მიხედვით გაწერილი სადამრიგებლო პროგრამაც. პროგრამისა და კლასგარეშე აქტივობების ნაწილის მიხედვით, დამრიგებელი თავის საქმიანობას წარმართავს დამრიგებლის ფუნქციონალური დატვირთვის, სასწავლო გეგმის, მოსწავლეთა სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. აღნიშნული შინაარსის მიხედვით აქტივობები ორიენტირებულია სოციალური უნარების, წიგნიერების, კრეატიული აზროვნების, გარემოზე ზრუნვის, ბუნებისა და მისი დაცვის მნიშნელობის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების ხელშეწყობის, სამოქალაქო უნარ-ჩვევების, შემოქმედებითი პოტენციალის, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, პატრიოტული ცნობიერების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების მიმართულებებზე. დამრიგებლის ერთ-ერთი ფუნქციაა კლასში შექმნას პოზიტიური, მეგობრული სასწავლო გარემო და მოსწავლთა ასაკობრივი, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით იზრუნოს მათ წარმატებაზე.<br>მოსწავლეთა განსხვავებული ინტერესებისა და მიდრეკილებების გათვალისწინებით სკოლაში ფუნქციონირებდა და ახალი სასწავლო გეგმითაც განსაზღვრულია კომპიუტერის, გალობისა და ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრეები.<br>მასწავლებლებთან გასაუბრების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დგინდება, რომ სკოლამ პანდემიის პირობებში შეძლო სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და აქტიურად აგრძელებდა სასწავლო პროცესს ონლაინ რეჟიმში. მათი თქმით, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც წვდომა არ ჰქონდათ ინტერნეტთან, დავალებების მიცემა ხდებოდა მობილური ტელეფონის მეშვეობით ან მშობელთა აქტიური მონაწილეობით.<br>სკოლაში ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის, მასწავლებლებთან და ადმონისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეები შეძლებენ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, გამომიმუშაონ შესაბამისი უნარები და ჩამოუყალიბდეთ ღირებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის 2020 წლის 19 ივნისს ოქმი N9.<br>• 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი<br>• SWOT ანალიზი;<br>• მეორე უცხოური ენების არჩევის ოქმი;<br>• საგნების ე.წ. თემატური გეგმები;<br>• 2016-2017, 2018-2019, 2019-2020 სასწავლო წლების განმავლობაში ჩატარებული სხვადასხვა საკლასო, სასკოლო და სკოლის გარეთა ღონისძიების ამსახველი დოკუმენტაცია;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | წარმოდგენილი სასკოლო - სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია ინკლუზიური განათლების კონცეფცია. შემუშავებულია ინკლუზიური განათლების მართვის დებულება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის (შემდგომში სსსმ მოსწავლე). |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში ირიცხება 3 სპეციალური საჭიროების მოსწავლე. სამედიცინო დასკვნების შესაბამისად შედგენილია სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სამუშაო გეგმები. ინკლუზიური განათლების წარმატებით წარმართვის მიზნით სკოლაში გამოყოფილია სამუშაო ოთახი, სადაც განთავსებულია სხვადასხვა საგნის თვალსაჩინოებები, ტექნიკური საშუალებები და საჭირო ინვენტარი.<br>სკოლაში სსსმ მოსწავლე ირიცხება სკოლაში უკონკურსოდ. სსსმ მოსწავლისათვის სკოლა განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფს, რომელიც ვალდებულია სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია.<br>დოკუმენტაციის გაცნობის ასევე სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლაში თითოეულ მოსწავლეს ეძლევა თანაბარი განვითარების საშუალება თვითრეალიზაციისათვის. დამრიგებლები სკოლის მოძღვართან ერთად ადგენენ შესაბამის პროგრამებს, რომლებიც ყველა მოსწავლეს აძლევს თავისი უნარების განვითარების შესაძლებლობებს. ხორციელდებოდა და კვლავაც იგეგმება დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის კონსულტაციები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები;<br>• მასწავლებელთა პორტფოლიოები;<br>• SWOT ანალიზი;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების პრინციპები, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ტიპებს. შეფასების სისტემის გამჭვირვალობის მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებელი და კონკრეტული საგნის პედაგოგი აცნობს მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლის მიერ შემუშავებულ შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს. განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, კერძოდ:<br>• საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები<br>• განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები<br>• ქულების გამოანგარიშების წესი<br>• კლასისა და საფეხურის დაძლევის ფორმები<br>• გამოცდების ტიპები<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება<br>• სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებას, დასწრება/გაცდენები<br>სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:<br>ა) მიმდინარე საშინაო დავალება;<br>ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;<br>გ) შემაჯამებელი დავალება.<br><br>დაწყებით საფეხურზე შეფასება ხორციელდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასების ფორმით, ხოლო V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.<br><br>ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გავეცანით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებს და შესაბამის ანალიზებს. სასკოლო სასწავლო გეგმის ახალი პროექტით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა საგნების მიხედვით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;<br>• გასული წლების სასკოლო სასწავლო გეგმები;<br>• შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მშობელთან ურთიერთობის წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესის N 35 მუხლის თანახმად, რაც გულისხმობს შემდეგს:<br>• მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და საჭიროების შემთხვევაში აწყობს მასთან ინდივიდუალურ შეხვედრებს;<br>• ყოველი სასწავლო სემესტრის დასაწყისში მასწავლებელი განმარტებებს აძლევს მშობლებს სასწავლო გეგმისა და მის მიერ არჩეული სწავლების მეთოდების შესახებ;<br>• მასწავლებელი, მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად, მშობელს დროულად და ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ;<br>• მასწავლებელს, თუ ის კლასის დამრიგებელია, აქვს ყველა მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად დაუკავშირდეს მშობელს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მასწავლებელი ატყობინებს მშობელს მოსწავლის დისციპლინური დარღვევის შესახებ.<br>• მასწავლებელი დაუყონებლივ უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებას, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა სკოლაში, ან მის ჯანმრთელობას და პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა.<br>მშობლის ინფორმირების წესი ვალდებულებადაა გაწერილია საამრიგებლო პროგრამაშიც რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს: მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას მათი უფლებებისა და მოვალეობების (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.) შესახებ;<br>თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების კონტროლს, ყოველი სასწავლო დისციპლინის მიხედვით და დადგენილი წესით მშობლის ინფორმირებას შვილის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ;<br>მშობელთა კრების ორგანიზებას და თითოეული მოსწავლის მშობლისათვის, კონფიდენციალობის მექანიზმის დაცვით, გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას.<br>ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გავეცანით დამრიგებლების პორტფოლიოებს და მათში წარმოდგენილ დოკუმენტაციას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სადამრიგებლო პროგრამა;<br>• დამრიგებლების წლიური ანგარიშები;<br>• დამრიგებლების პორტფოლიოები;<br>• შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების, ანალიზისა და გაუმჯობესების მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირებით დაკომპლექტებული ჯგუფი. პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან.<br>• მონიტორინგი - მონაცემთა შეგროვების პროცესი.<br>• შეფასება – მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის ანალიზი.<br>• შემოწმება – მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიღწევების განხილვა.<br>მონაცემთა შეგროვების წყაროებია: მასწავლებელთა დასწრების მასალები; საგნობრივი კათედრების დოკუმენტაცია, მასწავლებლების პორტფოლიოები, ბიბლიოთეკის რესურსები, კლასის დამრიგებლების პორტფოლიოები, საგნობრივ კათედრებს შორის არსებული თანამშრომლობის ამსახველი მასალა; სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების გამოკითხვის მასალები. ყოველივე ზემოაღნიშნული მიზნად ისახავს სწავლა/ სწავლების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენას, მიღებული მონაცემების ანალიზსა და შემდგომ სათანადო რეკომენდაციების განსაზღვრას. სკოლის „SWOT“ ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება დაწესებულების ძლიერი მხარეები და სამომავლო პერსპექტივები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კითხვარები;<br>• მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგები;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• SWOT ანალიზი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 3708. 00 კვ. მ -ზე არსებული 1197.5 კვ.მ. | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ვიზუალური დათვალიერების და შესაბამისი დოკუმენტაციისს გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლა მდებარეობს ქ. ოზურგეთში, გურამიშვილის ქ N 4-ში მდებარე ორსართულიან სასწავლო კორპუსში (707.5 კვ.მ.). სკოლას აქვს დიდი ეზო, რომელშიც განთავსებულია დახურული ტიპის სპორტული დარბაზი (405.6კვ.მ. ), ღია სპორტული მოედანი, კაპიტალური სველი წერტილები (38 კვ.მ).<br>2009 წლის თხოვების ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს საპატრიარქოს შემოქმედის ეპარქიამ თავის სარგებლობაში არსებული ქონება (უზუფრუქტის უვადო ხელშეკრულება 11.09.2008) სარგებლობაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გადასცა წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლას. ხელშეკრულების თანახმად „მონათხოვრე", ანუ სკოლა ვალდებულია: უზრუნველყოს ნათხოვარი ქონების მომარაგება წყლითა და ელექტროენერგიით; საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ნათხოვარი ქონების მიმდინარე შეკეთება, დაიცვას უსაფრთხოების და სანიტარული ნორმები. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქ. ოზურგეთში, გურამიშვილის ქ N 4 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | N 26.26.04.351 |
| *კვ.მ.* | 3708.00. კვ.მ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>• შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტი<br>• უზფრუქტის ხელშეკრულება 11.09.2008<br>• ნათხოვრობის ხელშეკრულება |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლას გააჩნია საჭირო რაოდენობის საკლასო ოთახები, ინვენტარითა და სკოლისთვის სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებები. 17 საკლასო ოთახი (I-XII კლასი) აღჭურვილია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური და ორ ადგილიანი მერხებით და სკამებით. ყველა |



